



საქართველოს მთავრობის ბანკარგულება

N336 2015 წლის 23 თებერვალი ქ. თბილისი

სტატისტიკური სამუშაოების 2015 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

1. „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული სტატისტიკური სამუშაოების 2015 წლის პროგრამა (დანართი №1) და სტატისტიკური სამუშაოების 2015 წლის პროგრამით გათვალისწინებული სტატისტიკური სამუშაოების მოცულობა (დანართი №2).

2. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (შემდგომში - საქსტატი), „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქსტატისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა და დონორების მიერ გამოყოფილი სახსრების ფარგლებში, უზრუნველყოს სტატისტიკური სამუშაოების 2015 წლის პროგრამის განხორციელების კოორდინაცია, აგრეთვე, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად ამ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2015 წლის 23 თებერვლის
№ 336 განკარგულებით

სტატისტიკური სამუშაოების
2015 წლის პროგრამა

მუხლი 1. ეროვნული ანგარიშები

	სამუშაოს დასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
1.	მთლიანი შიდა პროდუქტი (2014 წლის IV კვარტალი, 2014 წლის წლიური, 2015 წლის I, II, III კვარტალები), წინასწარი	საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში – საქსტატის) სტრუქტურული ერთეულების, სამინისტროებისა და უწყებების მონაცემები	კვარტალური, წლიური	საქსტატის ეროვნული ანგარიშების სამმართველო	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-80 დღე
2.	ეროვნული შემოსავალი და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატული მაჩვენებლები (2014 წლის IV კვარტალი, 2014 წლის წლიური, 2015 წლის I, II, III კვარტალები), წინასწარი	«—»	კვარტალური, წლიური	«—»	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 90-ე დღე
3.	2014 წლის წლიური მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული ანგარიშების სხვა მაჩვენებლები (დაზუსტებული)	«—»	წლიური	«—»	16 ნოემბერი
4.	2014 წლის წლიური მთლიანი შიდა პროდუქტი დანახარჯების მეთოდით მუდმივ ფასებში	«—»	წლიური	«—»	16 ნოემბერი
5.	მონეტარული, ფინანსური ბაზრებისა და ფისკალური სტატისტიკის მონაცემები (2014 წლის IV კვარტალი, 2014 წლის წლიური, 2015 წლის I, II, III კვარტალები), წინასწარი	ცხრილი საქართველოს ეროვნულ ბანკთან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული ფორმატით	კვარტალური, წლიური	«—»	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 70-ე დღე
6.	2014 წლის მონეტარული, ფინანსური ბაზრებისა და ფისკალური სტატისტიკის მონაცემები (დაზუსტებული)	«—»	წლიური	«—»	22 ივლისი

	სამუშაოს დასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
7.	2014 წლის რესურსებისა და გამოყენების ცხრილები (45/67) მიმდინარე ფასებში (დაზუსტებული)	საქსტატის სტრუქტურული ერთეულების, სამინისტროებისა და უწყებების მონაცემები	წლიური	«—»	23 დეკემბერი
8.	2014 წლის რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი (წლიური დაზუსტებული)	საქსტატის სტრუქტურული ერთეულების, სამინისტროებისა და უწყებების მონაცემები	წლიური	საქსტატის ეროვნული ანგარიშების სამმართველო	23 დეკემბერი
9.	2013 წლის კაპიტალის ანგარიში მიმდინარე ფასებში, ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების მიხედვით	«—»	«—»	«—»	15 აპრილი
10.	ეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებლები	საქსტატის სტრუქტურული ერთეულების, ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მონაცემები	ყოველთვიური	«—»	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 30-ე დღე
11.	ეკონომიკური ზრდის ტენდენციების წინასწარი შეფასებები	«—»	«—»	«—»	«—»

მუხლი 2. საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა

	სამუშაოს დასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
1.	საქონლით საგარეო ვაჭრობის 2014 წლის დეკემბრისა (2014 წლიური წინასწარი) და 2015 წლის იანვარ-ნოემბრის მონაცემები ქვეყნებისა და საქონლის მიხედვით (წინასწარი)	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზების ელექტრონული ვერსია</p> <p>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზების ელექტრონული ვერსია</p> <p>სს „საქართველოს ელექტროსისტემა“ (ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტი), ცხრილი</p> <p>შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ (ბუნებრივი აირის იმპორტი), ცხრილი</p>	ყოველთვიური	საქსტატის საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 21-ე დღე
2.	საქონლით საგარეო ვაჭრობის 2014 წლის წლიური მონაცემები ქვეყნებისა და საქონლის მიხედვით (დაზუსტებული)	«-»	წლიური	«-»	15 ივლისი

	სამუშაოს დასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
3.	საქონლით საგარეო ვაჭრობის 2014 წლის დეკემბრის, 2014 წლის წლიური და 2015 წლის იანვარ-ნოემბრის ყოველთვიური ექსპრეს მონაცემები (წინასწარი)	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ-შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზების ელექტრონული ვერსია</p> <p>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზების ელექტრონული ვერსია</p> <p>სს „საქართველოს ელექტროსისტემა“ (ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტი), ცხრილი</p> <p>შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ (ბუნებრივი აირის იმპორტი), ცხრილი</p>	ყოველთვიური	საქსტატის საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-13 დღე

	სამუშაოს დასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
4.	საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევა (2014 წლის IV კვარტალის და 2015 წლის 1-III კვარტალების მონაცემები), მათ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (წინასწარი)	საქსტატის გამოკვლევის კითხვარი(მონაცემები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" (პრივატიზაცია, ცხრილი). აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (პრივატიზაცია, ცხრილი). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები(პრივატიზაცია, ცხრილი). საქართველოს ეროვნული ბანკი (უცხოური ინვესტიციები საფინანსო სექტორში, ცხრილი).	კვარტალური	საქსტატის საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 70-ე დღე
5.	საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევა (2014 წლის წლიური მონაცემები), მათ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (წინასწარი)	«—»	წლიური	«—»	«—»

	სამუშაოს დასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
6.	საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევა (2014 წლის წლიური მონაცემები), მათ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (დაზუსტებული)	საქსტატის გამოკვლევის კითხვარი(მონაცემები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" (პრივატიზაცია, ცხრილი). აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (პრივატიზაცია, ცხრილი). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები(პრივატიზაცია, ცხრილი). საქართველოს ეროვნული ბანკი (უცხოური ინვესტიციები საფინანსო სექტორში, ცხრილი).	წლიური	საქსტატის საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო	17 აგვისტო

მუხლი 3. ბიზნეს სტატისტიკა

	სამუშაოს დასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
1.	საწარმოთა კვარტალური სტატისტიკური გამოკვლევა (2014 წლის IV კვარტალი, 2015 წლის I, II, III კვარტალები)	გამოკვლევის კითხვარი	კვარტალური	საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 65-ე დღე
2.	საწარმოთა წლიური სტატისტიკური გამოკვლევა (2014 წლის შედეგები)	«-»	წლიური	«-»	1 ოქტომბერი
3.	ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზის აქტუალიზება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოდან მიღებული რეგისტრაციის მასალების საფუძველზე	სარეგისტრაციო მასალები	ყოველთვიური	«-»	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 15-ე დღე
4.	არაკომერციული ორგანიზაციების გამოკვლევა (2014 წლის შედეგები)	გამოკვლევის კითხვარი	წლიური	«-»	1 ოქტომბერი
5.	სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების გამოკვლევა (2014 წლის შედეგები)	«-»	«-»	«-»	31 აგვისტო
6.	ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების გამოკვლევა (2014 წლის შედეგები)	«-»	«-»	«-»	31 ივლისი

	სამუშაოს დასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
7	ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევა (2014 წლის შედეგები)	გამოკვლევის კითხვარი	«—»	საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო	15 დეკემბერი
8	მონაცემები მშენებლობაზე გაცემული ნებართვების შესახებ (2014 წლის IV კვარტალი, 2015 წლის I, II, III კვარტალები)	მშენებლობაზე ნებართვის გამცემი ორგანოები	კვარტალური	«—»	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 30-ე დღე
9	მონაცემები დამთავრებული მშენებლობის შესახებ (2014 წლის IV კვარტალი, 2015 წლის I, II, III კვარტალები)	მშენებლობაზე ნებართვის გამცემი ორგანოები	«—»	«—»	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 30-ე დღე

მუხლი 4. სოფლის მეურნეობის სტატისტიკა

	სამუშაოს დასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
1.	სასოფლო მეურნეობათა წლიური შერჩევითი გამოკვლევა (2014 წლის დასკვნითი გამოკითხვა)	გამოკვლევის კითხვარი	წლიური	საქსტატის სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველო	17 მარტი (2014წლის ექსპრეს მონაცემები საშემოდგომო კულტურების ნათესი ფართობების შესახებ), 15 აპრილი (2014 წლის წინასწარი შედეგები), 16 ივნისი (2014 წლის საბოლოო შედეგები)
2.	სასოფლო მეურნეობათა კვარტალური შერჩევითი გამოკვლევა (2015 წლის საწყისი გამოკითხვა, 2015 წლის I, II, III კვარტალების გამოკითხვა)	«—»	კვარტალური	«—»	1 სექტემბერი (ექსპრეს მონაცემები 2015 წლის საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობების შესახებ), საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 50-ე დღე (2015 წლის I, II, III კვარტალების წინასწარი შედეგები).

მუხლი 5. ფასების სტატისტიკა

	სამუშაოსდასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
1.	სამომხმარებლო ფასების ინდექსების გაანგარიშება (2014 წლის XII თვე, 2015 წლის I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI თვეები)	კითხვარი	ყოველთვიური	საქსტატის ფასების სტატისტიკის სამმართველო	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-3 დღე
2.	სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშება (2014 წლის XII თვე, 2015 წლის I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI თვეები)	«-»	«-»	«-»	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-15 დღე
3.	მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსის გაანგარიშება (2014 წლის XII თვე, 2015 წლის I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI თვეები)	«-»	«-»	«-»	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-15 დღე
4.	მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშება სატვირთო გადაზიდვებზე (2014 წლის XII თვე, 2015 წლის I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI თვეები)	«-»	«-»	«-»	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-15 დღე
5.	საექსპორტო საქონლის ფასების ინდექსის გაანგარიშება(2015 წლის I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI თვეები)	«-»	«-»	«-»	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-15 დღე

მუხლი 6. დემოგრაფიული სტატისტიკა

	სამუშაოსდასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
1.	2014 წლისა და 2015 წლის 6 თვის (წინასწარი) პირველადი დემოგრაფიული მონაცემების დამუშავება სხვადასხვა ჭრილში შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: ა. შობადობა ბ. გარდაცვალება გ. ქორწინება დ. განქორწინება	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	წლიური (2014 წელი) ნახევარწლიური (2015 წლის I-II კვარტალები) წინასწარი	საქსტატის მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველო	31 მარტი 15 სექტემბერი
2	2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოსახლეობის რიცხოვნობის გაანგარიშება თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	წლიური	«—»	30 აპრილი
3	2014 წლის მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობის გაანგარიშება თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით	«—»	«—»	«—»	30 აპრილი
4	2014 წლის მიგრაციული სალდოს გაანგარიშება	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	წლიური	საქსტატის მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველო	30 აპრილი
5	2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის გაანგარიშება	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ-სახელმწიფო სერვისების	«—»	«—»	30 აპრილი

	სამუშაოს დასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
		განვითარების სააგენტო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მოსახლეობის საყოველთაო აღწერა			
6	2014 წელს გარდაცვლილთა რიცხოვნობის განაწილება გარდაცვალების ძირითადი მიზეზების მიხედვით	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	«-»	«-»	30 ივნისი

მუხლი 7. საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერასთან დაკავშირებული სამუშაოები გაწერილია "საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამის" შესაბამისად.

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის წინასწარი მონაცემები – მოსახლეობის რიცხოვნობა მუნიციპალიტეტების, თვითმმართველი ქალაქებისა და რეგიონების ჭრილში გამოქვეყნდება არა უგვიანეს 2015 წლის 30 აპრილისა.

მუხლი 8. სოციალური სტატისტიკა

	სამუშაოს დასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
1.	2014 წლის რეგისტრირებული სიღარიბის ამსახველი წლიური მაჩვენებლები	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (სსიპსოციალური მომსახურების სააგენტო)	წლიური	საქსტატის სოციალური სტატისტიკის სამმართველო	29 მაისი
2.	2014 წლის ფარდობითი სიღარიბის ამსახველი წლიური მაჩვენებლები	შინამეურნეობების ინტერგირებული გამოკვლევა	«—»	«—»	29 მაისი
3.	2014 წლის ცხოვრების დონის ამსახველი წლიური მაჩვენებლები (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები)	«—»	«—»	«—»	27 მაისი
4.	2014 წლის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის ამსახველი წლიური მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა)	«—»	«—»	«—»	27 მაისი
5.	2014 წლის ჯინის კოეფიციენტები	«—»	«—»	«—»	29 მაისი
6.	საარსებო მინიმუმის გაანგარიშება (2014 წლის XII თვე, 2015 წლის I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI თვეები)	—	ყოველთვიური	«—»	საანგარიშო პერიოდიდან მე-15 დღე
7.	სტატისტიკური გამოკვლევა – მონაცემები შრომის შესახებ (დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, 2014 წლის IV კვარტალი, 2014 წლის წლიური, 2015 წლის I, II, III კვარტალები)	შრომის სტატისტიკური გამოკვლევა	კვარტალური, წლიური	«—»	კვარტალური – საანგარიშო პერიოდიდან 77-ე დღე; წლიური – 8 ოქტომბერი
8.	2014/2015 სასწავლო წლის მონაცემები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ	გამოკვლევა	წლიური	«—»	10 აპრილი

	სამუშაოს დასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
9	2014/2015 სასწავლო წლის მონაცემები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	«—»	«—»	8 მაისი
10	2014/2015 სასწავლო წლის მონაცემები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ	«—»	«—»	«—»	8 მაისი
11	2014 წლის წლიური სტატისტიკური გამოკვლევა მუზეუმების მუშაობის შესახებ	გამოკვლევა	«—»	«—»	18 ივნისი
12	2014 წლის წლიური სტატისტიკური გამოკვლევა თეატრების მუშაობის შესახებ	გამოკვლევა	«—»	«—»	18 ივნისი
13	2014 წლის წლიური მონაცემები ბეჭდვითი პროდუქციის შესახებ	საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა	«—»	«—»	18 ივნისი
14.	2014 წლის წლიური მონაცემები სოციალური დაცვის სფეროს შესახებ	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	«—»	«—»	31 მარტი
15.	2014 წლის წლიური მონაცემები ჯანმრთელობის დაცვის სფეროს შესახებ	«—»	«—»	«—»	30 ივლისი
16.	მონაცემები სამართლებრივი სფეროს შესახებ (2014 წლის წლიური, 2015 წლის I, I-II და I-III კვარტალები)	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	კვარტალური ნახევარწლიური წლიური	საქსტატის სოციალური სტატისტიკის სამმართველო	კვარტალური – საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 35-ე დღე; ნახევარწლიური – 25 აგვისტო; წლიური – 25 მარტი

	სამუშაოს დასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
17.	სისხლის სამართლის სტატისტიკა (2014 წლის XII თვე, 2015 წლის I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI თვეები)	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	ყოველთვიური	«—»	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 30-ე დღე
18	ტურიზმის სტატისტიკა	ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის კვლევა უცხოელ ვიზიტორთა კვლევა	კვარტალური	«—»	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 75-ე დღე; საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 45-ე დღე

მუხლი 9. სტატისტიკური მონაცემების გავრცელება

	პუბლიკაციის დასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
1.	სტატისტიკური პუბლიკაცია „სტატისტიკური წელიწადი 2015“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	საქსტატში არსებული მასალები	წლიური	საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის აპარატი (სამმართველო)	28 დეკემბერი
2.	სტატისტიკური პუბლიკაცია „კვარტალური ბიულეტენი (ქართულ და ინგლისურ ენებზე ცალ-ცალკე, ელექტრონული ვერსია) • 2014. IV • 2015. I • 2015. II • 2015. III	«—»	კვარტალური	«—»	27 თებერვალი, 29 მაისი, 31 აგვისტო, 27 ნოემბერი
3.	სტატისტიკური პუბლიკაცია „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2014“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე, ელექტრონული ვერსია)	«—»	წლიური	საქსტატის მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველო	19 ოქტომბერი
4.	სტატისტიკური პუბლიკაცია „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2014“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე, ელექტრონული ვერსია)	«—»	«—»	საქსტატის სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველო	16 ივნისი
5.	სტატისტიკური პუბლიკაცია „საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა 2014“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე, ელექტრონული ვერსია)	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	«—»	«—»	30 ნოემბერი

	პუბლიკაციის დასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
6.	სტატისტიკური პუბლიკაცია „საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2013“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე, ელექტრონული ვერსია)	საქსტატში არსებული მასალები	წლიური	საქსტატის ეროვნული ანგარიშების სამმართველო	30 იანვარი
7.	სტატისტიკური პუბლიკაცია „საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2014“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე, ელექტრონული ვერსია)	«—»	«—»	საქსტატის საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო	15 ივლისი
8.	სტატისტიკური პუბლიკაცია „მეწარმეობა საქართველოში 2014“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე, ელექტრონული ვერსია)	«—»	«—»	საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო	30 ნოემბერი

მუხლი 10. რეგიონული სტატისტიკა

	სამუშაოს დასახელება	წყარო და ინსტრუმენტარი (ფორმა, ცხრილი)	პერიოდულობა	შემსრულებელი	გავრცელების ვადა
1.	სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა რეგიონალურ ჭრილში	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, საქსტატის მიერ განხორციელებული კვლევები	სტატისტიკური სამუშაოების 2015 წლის პროგრამის შესაბამისად	საქსტატის მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველო, საქსტატის სოციალური სტატისტიკის სამმართველო, საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო, საქსტატის სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველო, საქსტატის ეროვნული ანგარიშების სამმართველო	სტატისტიკურ სამუშაოთა 2015 წლის პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი სფეროს ამსახველი მონაცემების გავრცელებისას

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2015 წლის 23 თებერვლის
№ 336 განკარგულებით

სტატისტიკური სამუშაოების 2015 წლის პროგრამით
გათვალისწინებული სტატისტიკური
სამუშაოების მოცულობა

1. ეროვნული ანგარიშები

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს მოცულობა
1.	მთლიანი შიდა პროდუქტი (2014 წლის IV კვარტალი, 2014 წლის წლიური, 2015 წლის I, II, III კვარტალები), წინასწარი	1. ეკონომიკის მთლიანი გამოშვება მიმდინარე ფასებში, 45 საქმიანობის სახის მიხედვით. 2. შუალედური მოხმარება მიმდინარე ფასებში, 45 საქმიანობის სახის მიხედვით. 3. მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოების მეთოდით მიმდინარე ფასებში, 45 საქმიანობის სახის მიხედვით.
2.	ეროვნული შემოსავალი და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატული მაჩვენებლები (2014 წლის IV კვარტალი, 2014 წლის წლიური, 2015 წლის I, II, III კვარტალები), წინასწარი	4. მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოების მეთოდით მუდმივ 2003 წლის ფასებში, NACE-ის სექციების მიხედვით, 2003 წლიდან. 5. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ინდექსები, 2003 წლიდან. 6. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ჯაჭვური და კუმულატიური ინდექსები, 2003 წლიდან.
3.	2014 წლის წლიური მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული ანგარიშების სხვა მაჩვენებლები (დაზუსტებული)	7. მთლიანი შიდა პროდუქტი დანახარჯების მეთოდით მიმდინარე ფასებში, 2003 წლიდან. 8. მთლიანი შიდა პროდუქტი შემოსავლების მეთოდით მიმდინარე ფასებში, 2003 წლიდან. 9. ეროვნული შემოსავალი და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატული მაჩვენებლები მიმდინარე ფასებში, 2003 წლიდან.
4.	2014 წლის წლიური მთლიანი შიდა პროდუქტი დანახარჯების მეთოდით მუდმივ ფასებში	მთლიანი შიდა პროდუქტი დანახარჯების მეთოდით წინა წლის შესაბამის ფასებში
5.	მონეტარული, ფინანსური ბაზრებისა და ფისკალური სტატისტიკის მონაცემები (2014 წლის IV კვარტალი, 2014 წლის წლიური, 2015 წლის I, II, III კვარტალები), წინასწარი	მონეტარული, ფინანსური ბაზრებისა და ფისკალური სტატისტიკის მონაცემები (2014 წლის IV კვარტალი, 2014 წლის წლიური, 2015 წლის I, II, III კვარტალები), წინასწარი
6.	2014 წლის მონეტარული, ფინანსური ბაზრებისა და ფისკალური სტატისტიკის მონაცემები (დაზუსტებული)	2014 წლის მონეტარული, ფინანსური ბაზრებისა და ფისკალური სტატისტიკის მონაცემები (დაზუსტებული)

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს მოცულობა
7.	2014 წლის რესურსებისა და გამოყენების ცხრილები მიმდინარე ფასებში (დაზუსტებული)	1. რესურსებისა და გამოყენების ცხრილები 15 საქმიანობის სახისა და 15 პროდუქტის მიხედვით მიმდინარე ფასებში, 2006 წლიდან 2. რესურსებისა და გამოყენების ცხრილები 19 საქმიანობის სახისა და 27 პროდუქტის მიხედვით მიმდინარე ფასებში, 2006 წლიდან 3. რესურსებისა და გამოყენების ცხრილები 45 საქმიანობის სახისა და 67 პროდუქტის მიხედვით მიმდინარე ფასებში, 2006 წლიდან
8.	2014 წლის რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი (წლიური დაზუსტებული)	მთლიანი შიდა პროდუქტი რეგიონების მიხედვით, მიმდინარე ფასებში
9.	2013 წლის კაპიტალის ანგარიში მიმდინარე ფასებში, ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების მიხედვით	2013 წლის კაპიტალის ანგარიში მიმდინარე ფასებში, ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების მიხედვით
10.	ეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებლები	ეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებლები, 2014 წლის დეკემბრისა და 2015 წლის იანვარ-ნოემბრის მიხედვით
11.	ეკონომიკური ზრდის ტენდენციების წინასწარი შეფასებები	ეკონომიკური ზრდის ტენდენციების წინასწარი შეფასებები, 2014 წლის დეკემბრისა და 2015 წლის იანვარ-ნოემბრის მიხედვით

2. საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს მოცულობა
1.	საქონლით საგარეო ვაჭრობის 2014 წლის დეკემბრის, 2014 წლის წლიური და 2015 წლის იანვარ-ნოემბრის მონაცემები ქვეყნებისა და საქონლის მიხედვით (წინასწარი)	საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემები ქვეყნებისა და საქონლის მიხედვით: <ul style="list-style-type: none"> - ექსპორტ-იმპორტი ქვეყნების ჭრილში საქართველოს ყველა სავაჭრო პარტნიორთან; - ექსპორტ-იმპორტი საქონლის ჭრილში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 4 და 6 ნიშნა დონეზე.
2.	საქონლით საგარეო ვაჭრობის 2014 წლის წლიური მონაცემები ქვეყნებისა და საქონლის მიხედვით (დაზუსტებული)	
3.	საქონლით საგარეო ვაჭრობის 2014 წლის დეკემბრის, 2014 წლის წლიური და 2015 წლის იანვარ-ნოემბრის ყოველთვიური ექსპრეს მონაცემები (წინასწარი)	საქონლით საგარეო ვაჭრობის ნაერთი მონაცემები შემდეგ ჭრილში: <ul style="list-style-type: none"> - ექსპორტი; - იმპორტი; - საგარეო სავაჭრო ბრუნვა; - საგარეო ვაჭრობის სალდო.
4.	საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევა (2014 წლის წლიური მონაცემები), მათ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, (წინასწარი)	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემდეგ ჭრილში: <ul style="list-style-type: none"> - ქვეყნები; - ეკონომიკის სექტორები; - ინფორმაციის წყაროები; - რეგიონები.
5.	საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევა (2014 წლის წლიური მონაცემები), მათ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, (დაზუსტებული)	
6.	საგარეო ეკონომიკური საქმიანობის კვარტალური სტატისტიკური გამოკვლევა (2014 წლის IV კვარტალი, 2015 წლის I, II, III კვარტალები), მათ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, (წინასწარი)	

3. ბიზნეს სტატისტიკა

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს მოცულობა
1.	საწარმოთა კვარტალური სტატისტიკური გამოკვლევა (2014 წლის IV კვარტალი, 2015 წლის I, II, III კვარტალები)	ბიზნეს სექტორის საქმიანობის ამსახველი მაჩვენებლები ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (NACE) 1, 2 და 3 ნიშნა დონეზე, რეგიონების, საწარმოთა ზომის, საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით: საწარმოთა რაოდენობა, ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა რაოდენობა, დაქირავებულთა რაოდენობა, საშუალო თვიური ხელფასი, დანახარჯები საქონლისა და მომსახურების შესყიდვებზე, დანახარჯები გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების შესყიდვებზე, შრომითი დანახარჯები, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში.
2.	საწარმოთა წლიური სტატისტიკური გამოკვლევა (2014 წლის შედეგები)	ბიზნეს სექტორის საქმიანობის ამსახველი მაჩვენებლები ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (NACE) 1, 2 და 3 ნიშნა დონეზე რეგიონების, საწარმოთა ზომის, საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით: საწარმოთა რაოდენობა, ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა რაოდენობა, დაქირავებულთა რაოდენობა, საშუალო თვიური ხელფასი, დამატებული ღირებულება, შუალედური მოხმარება დანახარჯები საქონლისა და მომსახურების შესყიდვებზე, დანახარჯები გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების შესყიდვებზე, შრომითი დანახარჯები, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, ფიქსირებული და არამატერიალური აქტივების მოძრაობა.
3.	ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზის აქტუალიზება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიღებული რეგისტრაციის მასალების საფუძველზე	რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების, რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით, საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით. რეგისტრირებულ საწარმოთა ჩამონათვალი (ბაზა) შემდეგი საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითებით: <ul style="list-style-type: none"> - საწარმოს სრული დასახელება - იურიდიული მისამართი - საკუთრების ფორმა

		<ul style="list-style-type: none"> - ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა - გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი - სტატისტიკის საიდენტიფიკაციო ნომერი
4.	არაკომერციული ორგანიზაციების გამოკვლევა (2014 წლის შედეგები)	არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის ამსახველი მაჩვენებლები ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (NACE) სექციის დონეზე და რეგიონების მიხედვით: ორგანიზაციათა რაოდენობა, ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა რაოდენობა, დაქირავებულთა რაოდენობა, საშუალო თვიური ხელფასი.
5.	სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების გამოკვლევა (2014 წლის შედეგები)	სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საქმიანობის ამსახველი მაჩვენებლები სხვადასხვა ჭრილში: სასტუმროების რაოდენობა, სასტუმროს ნომრებისა და ადგილების რაოდენობა, ფართობი, დასაქმებულთა რაოდენობა, სასტუმროს დატვირთვის მაჩვენებლები, სასტუმროში ჩამოსულთა (სტუმართა) განაწილება ქვეყნებისა და ჩამოსვლის მიზნების მიხედვით.
6.	ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების გამოკვლევა (2014 წლის შედეგები)	ბაზრების (ბაზრობების) ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის ამსახველი მაჩვენებლები სხვადასხვა ჭრილში: რაოდენობა, დაკავებული ფართობი, სავაჭრო ადგილების და გამყიდველთა რაოდენობა საშუალოდ ერთ დღეში, დასაქმებულთა და დაქირავებულთა რაოდენობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბაზრების ტერიტორიაზე არსებულ საწარმოთა რაოდენობა.
7.	"საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი, 2014	ინფორმაცია ენერგორესურსების მიწოდებისა (მოპოვება, წარმოება, დისტრიბუცია, ვაჭრობა) და მოხმარების შესახებ სექტორებისა და ენერჯის ფორმების მიხედვით.

8	მონაცემები მშენებლობაზე გაცემული ნებართვების შესახებ (2014 წლის IV კვარტალი, 2015 წლის I, II, III კვარტალები)	ინფორმაცია ობიექტების ტიპების მიხედვით რეგიონების და მუნიციპალიტეტების ჭრილში - მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა, შენობის საერთო ფართობი, მოცულობა.
9	მონაცემები დამთავრებული მშენებლობის შესახებ (2014 წლის IV კვარტალი, 2015 წლის I, II, III კვარტალები)	ინფორმაცია ობიექტების ტიპების მიხედვით რეგიონების და მუნიციპალიტეტების ჭრილში - ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების რაოდენობა, საერთო ფართობი, მოცულობა.

4. სოფლის მეურნეობის სტატისტიკა

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს მოცულობა
